

თმის მომსახურება



შექმნილია პროგრამა:

თმისა და სილამაზის მომსახურება/Hair and Beauty Services

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შედგა პროგრამა:

10119-3 მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services. მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - თმის და სილამაზის მომსახურებები, კოდი 1012, აღმწერი - „შეისწავლის თმისა და სხეულის მოვლას“.

მიზანი:

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს შრომის ბაზარი ისეთი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს სილამაზის ინდუსტრიაში თმის მომსახურებას.

დაშვების წინაპირობა:

- საბაზო განათლება.

ჩარიცხვის პროცედურები:

- პროფესიული ტესტირება - (სივრცითი უნარები და ხელოვნება)

სწავლების ხანგრძლივობა დროში:

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 39 კვირა;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 49 კვირა;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

თმისა და სილამაზის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია შესაბამისი კონცენტრაციის საფუძველზე დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე: თმის ოსტატი, პარიკმახერი, თმის სტილისტი; პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული. დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 5141; 5142.

- ეროვნული კლასიფიკატორის - (ეკონომიკური სახეები) კოდები: 96.02.; 96.02.0.

სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის მოცულობით, 7 საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულს 22 კრედიტის მოცულობით, 7 დარგობრივ მოდულს ჯამური 25 კრედიტის მოცულობით, სულ 57 კრედიტი.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 57 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 39 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 72 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 49 კვირა

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მეწარმეობა 1	2
2.	სამოქალაქო განათლება	2
3.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
	ჯამი:	10

საერთო პროფესიული მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება	3
2.	მარკეტინგი და გაყიდვები	2
3.	ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე	3
4.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3
5.	ფრჩხილის, თმის და კანის ტიპები	4
6.	სპეცხატვა და ფერთა თეორია	3
7.	დარგობრივი ინგლისური ენა	4
	ჯამი:	22

თმის მომსახურების მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	თმის შეჭრის ტექნოლოგია	5
2.	თმის ვარცხნილობები	3
3.	თმის ღებვა	6
4.	თმის სპა პროცედურები	1
5.	თმის ქიმიური დამუშავების ტექნოლოგია	3
6.	პრაქტიკული პროექტი - თმის მომსახურება	1
7.	საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება	6
	ჯამი:	25
	სულ:	57

სტუდენტის შეფასების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები:

1. სტუდენტის შეფასების წესი - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი **მუხლი 10.**

2. კვალიფიკაციის მინიჭების პირობები -იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი მუხლი 14.

პროგრამისგანხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებები:

- + შპს „ლამბრე“
- + შპს „მირიან ტუზურიძე“
- + შპს „N&G“
- + სალონი „გილუმანი“
- + სალონი „მალა“
- + სალონი „ლ სტუდიო“

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის სწავლის შედეგები:
კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეჭრას თმა;
2. სუბსტრუქტული სქემით აფორმიროს ძირითადი ფერები;
3. მოახდინოს პალიტრის კლასიფიცირება;
4. შეღებოს და გააღიოს თმა;
5. შეასრულოს თმის ქიმიური დახვევა და გასწორება;
6. შეასრულოს სხვადასხვა სახის ვარცხნილობები;
7. შეასრულოს წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება;
8. შეასრულოს თმის სპა პროცედურები;

პროგრამის დასრულების შემდგომ გასაცემი დოკუმენტი:
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი დანართთან ერთად.